პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
სამშაბათი
3 ივლისი
№ 152 (17497)
ფასი 2 კაპ.

საქმემ გამოაჩინა



გაიცანით მექანიზატორი მაგული ლეკიშვილი

გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორმა, სკკპ წევრმა მაგული ლეკიშვილმა ვალდებულება იკისრა მანქანა „საქართველოთი“ ხეზონის ბოლოსთვის მოკრეფოს 39 ტონა ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 32 ტონის ნაცვლად. ახალგაზრდა მექანიზატორი სიტყვას არ დალატობს, დღეისათვის მას უკვე 25 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი აქვს მოკრეფილი.

სურათზე: მ. ლეკიშვილი.

ა. სააკოვის ფოტო.

ხუთწლედი — ვადამდე!

როგორი მაჩვენებლებით შეუდექით ფლის მეორე ნახევარს?

სამთოელთა პატაკი

დღეს საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ კოლექტივმა მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის მთლიანი პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმა შეასრულა. მიმდინარე წლის დაჩენილ დროის განმავლობაში სამთოელებმა სამშობლოს გეგმით 10 მილიონი მანეთის ნაწარმი უნდა მიაწოდონ, მაგრამ მუშაობის ტემპი მოწმობს, რომ ეს ციფრი საგრძნობლად გაიზრდება.

განსაკუთრებულ წარმატებას მახარაძის მაღაროთასამმართველოს კოლექტივმა მიაღწია. გაერთიანების საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მახარაძელები რამდენიმე წელია ტოლს არავის უდებენ. მათ მიერ მოპოვებულ და გადამუშავებულ სახელმწიფო ხარისხისნიშნიან ბენტონიტს საჩამომხსმელო წარმოებაში იყენებენ და მასზე დიდი მოთხოვნაა. ლიხაჩოვის სახელობის, გორკის და ვოლგის საავტომობილო ქარხნები დიდი ხანია უპირატესობას აძლევენ მახარაძელთა ბენტონიტს როგორც საუკეთესო საყალიბე მასალას, ახლა მხოლოდ ქართული ბენტონიტით აყალიბებს სხმულებს ჩვენი ქვეყნის საავტომობილო გიგანტის — კამის საავტომობილო ქარხნის კოლექტივიც.

მთელი დატვირთვით მუშაობენ და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას იძლევიან აგრეთვე გაერთიანების სხვა საწარმოებიც.

შ. ამაშუკელი.

მეტი სათბური

ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწია. მან დღეისათვის 5 ათასი ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი ამოიღო, იმდენი, რამდენიც მიმდინარე წლის ცალდებულებით იყო გათვალისწინებული. მეოთხე ხუთწლედის დამლევისათვის სამთოელებმა გადაწყვიტეს სამშობლოს კიდევ ამდენი სათბობი მიაწოდონ.

საგულისხმოა, რომ ამ საწარმოს თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 4,2 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ტონა ქვანახშირის თვითღირებულება 39 კაპიკით შემცირდა, რის შედეგადაც შახტში 39 ათასი მანეთის პროდუქცია დაიზოგა.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

●●

ქერს მკიან

ყვარელი. (სპ. კორ. დ. გერგიშვილი). საქმით გამოეჩინარნენ ყვარელი მექანიზატორები სიღნაღის რაიონის მექანიზატორთა მომართვას რესპუბლიკის ყველა მექანიზატორისადმი. ისინი ალორობას მომზადებული შეხვდნენ და რაიონში პირველებმა გავაზის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში დაიწყეს პურეულის მკა.

„საქსახკომსოფლტექნიკის“ ყვარლის რაიონული განყოფილების კომბაინერები ვ. ბიწკინაშვილი და ი. მოსიაშვილი შეუდგნენ ქერის მკას. თითოეული დღეში 25 ტონა მარცვალს ღებულობს.

კომბაინერებს კვალდაკვალ დაჰყვება ნამკის საწნეხი მანქანა, რომელსაც ოსტატურად მართავს ე. მოსიაშვილი. პარალელურად მიმდინარეობს ნამკის გამოზიდვა და დაბინავება, გამოთავისუფლებული ნიადაგის ხვნა და სანაწვერალო სიმინდის თესვა.

ᲨᲔᲣᲠᲘᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲘ
2 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ

ᲐᲛᲑᲐᲜᲐᲒᲘ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲡᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ: „ᲙᲝᲠᲝᲢᲔᲜᲙᲝᲕᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲗ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲘᲜᲐᲕᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲗ ᲐᲠᲡᲘ ᲡᲬᲘᲜᲓᲔᲑᲐᲛ“. ᲛᲐᲠᲗᲛᲔᲪᲘ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ „ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ“ ᲛᲔᲣᲨᲝᲜᲔᲡᲐᲓᲛᲘ ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲙᲝᲠᲝᲢᲔᲜᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲔᲕᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲓᲐᲛᲘᲙᲕᲠᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ, ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲬᲐᲛᲝᲝ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲪ. ᲛᲘᲡᲘᲗᲐ ᲐᲛ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲗᲐᲛ ᲑᲘᲖᲠᲐᲓ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲗ ᲮᲚᲔᲚᲘ ᲪᲕᲚᲐᲨᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲡᲐᲨᲐᲠᲐᲛᲝᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲐᲡ ᲐᲠᲐᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲨᲚᲘᲗ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲐᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲣᲠᲘᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲠᲛᲘᲗᲐᲡ ᲛᲘᲡᲘᲗᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲗ ᲐᲠᲡᲘ ᲬᲘᲜᲓᲔᲑᲐᲛ“. ᲛᲐᲠᲗᲛᲔᲪᲘ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ „ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ“ ᲛᲔᲣᲨᲝᲜᲔᲡᲐᲓᲛᲘ ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲙᲝᲠᲝᲢᲔᲜᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲔᲕᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲓᲐᲛᲘᲙᲕᲠᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲪ. ᲛᲘᲡᲘᲗᲐ ᲐᲛ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲗᲐᲛ ᲑᲘᲖᲠᲐᲓ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲗ ᲮᲚᲔᲚᲘ ᲪᲕᲚᲐᲨᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ. ᲛᲘᲡᲘᲗᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“, — ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲐᲓ, ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗᲐᲪ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲡᲘᲗᲐᲡ ᲛᲘᲡᲘᲗᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲗ ᲐᲠᲡᲘ ᲬᲘᲜᲓᲔᲑᲐᲛ“. ᲔᲡ ᲙᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲬᲘᲜᲐᲣᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲐ. ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲠᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲑᲘᲖᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲖᲘᲖᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲛᲘᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲡᲘᲗᲐᲡ ᲛᲘᲡᲘᲗᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲗ ᲐᲠᲡᲘ ᲬᲘᲜᲓᲔᲑᲐᲛ“. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲐᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲣᲠᲘᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲠᲛᲘᲗᲐᲡ ᲛᲘᲡᲘᲗᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲗ ᲐᲠᲡᲘ ᲬᲘᲜᲓᲔᲑᲐᲛ“. ᲔᲡ ᲙᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲬᲘᲜᲐᲣᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲐ. ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲠᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲑᲘᲖᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲖᲘᲖᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲛᲘᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲡᲘᲗᲐᲡ ᲛᲘᲡᲘᲗᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲗ ᲐᲠᲡᲘ ᲬᲘᲜᲓᲔᲑᲐᲛ“. ᲔᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲗᲝᲚᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲡᲘᲗᲐᲡ ᲛᲘᲡᲘᲗᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲗ ᲐᲠᲡᲘ ᲬᲘᲜᲓᲔᲑᲐᲛ“. ᲔᲡ ᲙᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲬᲘᲜᲐᲣᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲐ. ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲠᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲑᲘᲖᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲖᲘᲖᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲛᲘᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲡᲘᲗᲐᲡ ᲛᲘᲡᲘᲗᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲗ ᲐᲠᲡᲘ ᲬᲘᲜᲓᲔᲑᲐᲛ“. ᲔᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲗᲝᲚᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘᲡ

მხოლოდ ღირსეული გახდება სტუდენტი

(დასასრული)

მაგრამ უკანასკნელ ხანს გაჩნდა გარკვეული სმპტომები, მოგვდის სიგნალები, რომლებიც მოწმობენ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ უმაღლეს სასწავლებლებში „მოაწყონ“ აბიტურიენტები უპატიოსნო გზით. რა ხერხებს არ მიმართავენ, რომ გვერდი აუარონ მიღების დადგენილ წესებს. საზოგადოების ასეთი ანტიპოდები, რომლებიც ზოგან მაინც აღწევენ ხოლმე საწადელს, გარკვეულ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზრზე, არ უნდა შევასუსტოთ მათ წინააღმდეგ შეუპოვარი, უკომპრომისო ბრძოლა.

მიმდინარე წელი რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის, მთელი საზოგადოებრიობის ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი, სასიხარულო მოვლენით აღინიშნა: სოხუმში შეიქმნა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ახლა საქართველოში ორი უნივერსიტეტია.

უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებმა დიდი ორგანიზაციული მუშაობა გასწიეს 1979 წელს სტუდენტთა ახალი კონტინგენტის მიღებისათვის. შექმნილია მიღების კომისიები, დამტკიცებულია საგნობრივ-საგამოცდო კომისიები, მიღების კომისიების ტექნიკური პერსონალი. როგორც წესი, მიღების კომისიათა შემადგენლობა განახლებულია. შედგენილია საგამოცდო ბილეთები, მომზადებულია გამოთვლითი ტექნიკა, გამოიცა სათანადო ცნობარები და დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოები აბიტურიენტთათვის. უმაღლეს სასწავლებლებში ეწყობა ღია კარის დღეები, პროფესორ-მასწავლებელთა, წარმოების ორწინავეთა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა შეხვედრები აბიტურიენტებთან.

მოსალოდნელია, რომ წელს უმაღლეს სასწავლებლებში კონკურსი გაიკეთებთ უფრო დიდი ქნება წინა წლებთან შედარებით. და უაღრესად საჭიროა სწორად წარვმართოთ მუშაობა ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის, იმ პროფესიათა პროპაგანდისათვის, რომლებიც განსაკუთრებით სჭირდება რესპუბლიკას.

მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებში საქართველოში უპირატესად განვითარდება ყველაზე პროგრესული დარგები: მანქანათმშენებლობა, კერძოდ, საავტომობილო მრეწველობა, ელმავალმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა და მთელი რიგი სხვა პროგრესული მიმართულებანი. სწრაფი ტემპით ვითარდება სოფლის მეურნეობა. მათი პროგრესი კი უწინარეს ყოვლისა იმათზეა დამოკიდებული, ვინც დღეს გადის ცხოვრების ფართო გზაზე. ახალგაზრდობა უმაღლეს სასწავლებლებში თითქოს სწორედ ამ სპეციალობებზე უნდა მიისწრაფოდეს. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტი განცხადება შედის ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე. აქ თითო ადგილზე პრეტენდენტთა რიცხვი ზოგჯერ 30-40-ს აღწევს. ამავე დროს ზოგიერთ საინჟინრო სპეციალობაზე, რომლებიც განსაკუთრებით სჭირდება რესპუბლიკას, გაცილებით ნაკლები განცხადებებია. ბუნებრივია, რომ როცა ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე ასეთი დიდი კონკურსია, ძალზე კარგად მომზადებული ქალაშვილები და ჭაბუკებიც კი ვერ ხვდებიან უმაღლეს სასწავლებელში. მთავარია ისინი კარგად იყვნენ ინფორმირებული საქმის მდგომარეობის გამო. და მაშინ მათი ნაწილი იმ დასკვნამდე მივა, რომ სჯობს უკეთ მოემზადოს მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში და ჩაირიცხოს უმაღლეს სასწავლებელში საინჟინრო-ტექნიკური სპეციალობებზე, ვიდრე ვერ გავიდეს ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე კონკურსში.

გამოცდების დაწყებამდე თვეზე ნაკლებია დარჩა. უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებმა კიდევ ერთხელ ყოველმხრივ, კრიტიკულად და პრინციპულად უნდა გააანალიზონ და შეაფასონ გასული წლის მიღების შედეგები, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა არ დაუშვან მიღების წესების რაიმე დარღვევა და გადახვევა. დარჩენილი დრო ხარვეზების შევსებისა და გადასაწყვეტი საკითხების მოგვარებას უნდა მოვანდომოთ. ძირითები გამოცდების პროცესში მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი მათი შედეგების საჯაროობა, ტექნიკური საშუალებების — რადიოს, ტელევიზიისა და სხვათა გამოყენება. ძალზე საჭიროა აბიტურიენტთა დოკუმენტების მიღების პერიოდში ორგანიზაცია გავუწიოთ ზუსტ ინფორმაციას თითოეული ფორმის სწავლების სპეციალობათა მიხედვით განცხადებების განაწილების შესახებ, ხოლო გასაუბრების დროს — გამოვავლინოთ აბიტურიენტის მოწოდება არჩეული პროფესიის მიმართ, დავეხმაროთ მას შეირჩიოს ისეთი სპეციალობა, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება მის მიდრეკილებას, ნიჭსა და უნარს.

ისევე როგორც წინა წლებში, გამოცდების პროცესში შექმნილი უნდა იყოს აბიტურიენტების მიმართ კეთილმოსურნეობისა და გულისხმიერების დამოკიდებულების ატმოსფერო, რათა მათ შეიძლოთ გამოავლინონ მთელი თავიანთი ცოდნა და შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს კერძო რეპეტიტორობის პრობლემა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ფართო მასშტაბით არის გავრცელებული. იმ ფორმის რეპეტიტორობა, რომელიც ჩვენში არსებობს, ზიანს აყენებს საზოგადოებას. ჯერ ერთი, რეპეტიტორთა როლში ხშირად გვევლინებიან პედაგოგები, რომლებიც შემოსავლის მიღებას გადაყოლილნი, უკვე კარგა ხანია ხელოსნებად იქცნენ. ისინი ვერ აძლევენ საჭირო ცოდნას აბიტურიენტებს, და ეს უკანასკნელნი მეტწილად უმაღლეს სასწავლებლებში ვერ ხვდებიან. მეორე, აბიტურიენტები ხშირად ამჯობინებენ იმ პედაგოგებთან მუშაობას, რომლებიც მისაღებ გამოცდებს იბარებენ. ეს კი ქრთამის მიცემის ერთ-ერთი შენიღბული ფორმაა. არც ერთი რეპეტიტორი არ უნდა გავაჭაჭანოთ მიმღები და საგნობრივი საგამოცდო კომისიების შემადგენლობაში.

წელს, ისევე როგორც წინა წლებში, აჯახეთის ასს რესპუბლიკისათვის, აჭარის ასს რესპუბლიკისათვის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის, რესპუბლიკის 16 მთიანი და სასოფლო რაონისათვის გამოყოფილია ადგილები საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებსა და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდობის კონკურსგარეშე ჩარიცხვისათვის. იმისათვის, რომ შარშანდელი შეცდომები არ გავიმეოროთ, პარტიის საოლქო კომიტეტმა და რაიკომებმა მკაცრი კონტროლი უნდა დაუწესონ სასწავლებლად გასაგზავნი ღირსეული ახალგაზრდობის შერჩევას, უწინარეს ყოვლისა, მუშა და სოფლის ახალგაზრდობას შორის.

უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ყველა აბიტურიენტი როდი ჩაირიცხება. მაგრამ იმათ, ვინც კონკურსში ვერ გავა, გული არ უნდა გაიტეხონ. მათ წინაშე ფართოდ არის გაღებული სამრეწველო საწარმოებისა და შენებლობების კარი, მათ მოელიან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, მინდვრები და ფერმები. იმუშაონ, შეიძინონ ცხოვრებისეული გამოცდილება, და ერთი-ორი წლის შემდეგ ყველა შესაძლებლობა ექნებათ საიმისოდ, რომ განაგრძონ სწავლა უმაღლეს სასწავლებელსა და ტექნიკუმში. თანაც, ჩარიცხვისას მათ უპირატესობა მიენიჭებათ იმ აბიტურიენტებთან შედარებით, რომლებსაც წარმოებაში მუშაობის სტაჟი არ ექნებათ.

აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიებმა. ისევე როგორც წინა წლებში, ისინი წელსაც იმუშავებენ თითოეულ უმაღლეს სასწავლებელსა და ტექნიკუმში. 1978 წელს ამ კომისიებმა სამუშაოდ მიავლინეს რვა ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი, რომლებიც კონკურსში ვერ გავიდნენ. კომისიებმა უნდა აპოვნინონ ახალგაზრდებს თავიანთი ადგილი ცხოვრებაში, შეარჩევინონ სასურველი პროფესია. ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიებს სრული ინფორმაცია უნდა ჰქონდეს იმის თაობაზე, თუ რა შესაძლებლობანი გააჩნიათ სამრეწველო საწარმოებს, მშენებლობებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შესაბამის რეგიონში.

უმაღლესი სკოლა მარტოოდენ თამამი ნოვატორული აზრის ადამიანებს როდი ზრდის, რომლებიც ამსხვრევენ ჩვეულ საზღვრებს, ეძებენ მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკის, მართვის ახალ-ახალ გზებს. მუშა, კოლმეურნე და მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად სტუდენტობა ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე, მისი იმედი და მომავალია. ხშირად ხვალინდელმა სტუდენტებმა უნდა იღვაწონ 21-ე საუკუნეში. ისინი უნდა იყვნენ მომავალ თაობათა წინაშე სოციალიზმის ისტორიული ბედის მესვეურნი. ამიტომ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ახალგაზრდობის შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აბიტურიენტთა პოლიტიკურ, მოქალაქეობრივ ღირსებებს, მათ მრწამსს, და არა მარტო ცოდნას, რადგან ხვალინდელი სტუდენტები უნდა იყვნენ პოლიტიკურად გამოწრთობილი მებრძოლნი ბურჟუაზიული და რეფორმისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ. მომდინარე პრინციპულ ბრძოლაში, საიმედო იდეური მებრძოლნი კომუნისტური პარტიის, ლენინური კომკავშირის იდეალებისათვის!

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. შარტავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ა. ალექსიძე, ვ. ქარუმიძე. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე განიხილა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. აღინიშნა, რომ ამ მნიშვნელოვან პარტიულ დოკუმენტში, აგრეთვე მასთან დაკავშირებით მიღებულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში სახალხო დეპუტატთა ამოცანების შესახებ, მთავარი ყურადღება ეთმობა მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი და ინტერნაციონალური აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების აქტიურად საკითხებს.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოები თანამიმდევრულად იბრძვიან სახელმწიფო და პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დამკვიდრებისათვის, დემოკრატიული საფუძვლების გაღრმავების, ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის, საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებისათვის. მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური პოტენციალი, გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, შესამჩნევი ძვრები მოხდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამაღლდა მოსახლეობის განათლებისა და კულტურის დონე.

ამასთან, სხდომის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს იმ იდეურ-აღმზრდელობითს და კულტურულ-მასობრივ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, რომელსაც სახალხო დეპუტატთა საბჭოები ეწევიან მოსახლეობაში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აღინიშნა, კერძოდ, რომ ზოგიერთი საბჭო საკმარისად არ ახორციელებს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს. არ იჩენს ჯეროვან ინიციატივას, მომთხოვნელობასა და კომპეტენტურობას, სუსტად უწევს კონტროლს კანონიერების, კონსტიტუციით გარანტირებული მშრომელთა უფლება-მოვალეობების დაცვას. ისინი ვერ უზრუნველყოფენ, რომ ყველგან დაინერგოს და დამკვიდრდეს სოციალისტური ცხოვრების მაღალი პრინციპები და ნორმები, სხვადასხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის მაღალი პრინციპები. მთელ რიგ საბჭოებში, აღინიშნა სხდომაზე, სუსტია მასებთან კავშირი და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლი, მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები ჯერ კიდევ ვერ ახდენენ საკმარის გავლენას დისციპლინის განმტკიცებაზე, წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე, ბიუროკრატიზმისა და მშრომელთა საჭიროებისადმი უსულგულო დამოკიდებულების აღმოფხვრაზე.

პრეზიდიუმმა დაავალა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, კიდევ უფრო სრულყონ აღმზრდელობითი მუშაობა, უზრუნველყონ მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობა პარტიის XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

დამტკიცდა იმ ძირითად ორგანიზაციულ და მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა პერსპექტიული გეგმა, რომლებიც ითვალისწინებს, რომ შესრულდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობენ „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან“.

პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე **რესპუბლიკურ გაზეთებში, რადიოსი და ტელევიზიით სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის გაშუქების ღონისძიებათა საკითხი.**

სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი დიდ ხაყოფილ მუშაობას ეწევიან საბჭოთა მშენებლობის საკითხების გაშუქებისათვის, მაგრამ ამ მნიშვნელოვან საქმეში სერიოზული ნაკლოვანებანიც არის. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს დაევალათ საგანგებო ყურადღება დაუთმონ საბჭოების პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გამოცდილების გაშუქებას, მათ მიერ ახალი მებრძოლი ადამიანის, მშრომელის, ინტერნაციონალისტის ჩამოყალიბების შესახებ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის. მოთხოვნათა შესრულებას.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა სისტემატურად უნდა აკონტროლონ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებს საბჭოების ორგანიზატორული მუშაობის შესახებ, მისცენ ყველაზე აქტუალური პრობლემების პუბლიკაციის რეკომენდაციები, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ნაკლოვანებათა გამოვლინებას, საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილების პროპაგანდასა და გავრცელებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ეფექტიანობის სოციოლოგიური შესწავლის ლაბორატორიის დაეკალა გამოიკვლიოს საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე რესპუბლიკური პრესის პუბლიკაციების, რადიოს და ტელეგადაცემების ქმედითობა.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხები. (საქინფორმი).

მიზანია რეგიონის განვითარება

თუ შევეცდებით მოკლედ დავახასიათოთ ცხინვალში გასულ შაბათს გამართული თათბირის არსი, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ თავმჯდომარემ ზ. ა. პატარაიძემ ჩაატარა, უნდა თქვათ, რომ მისი ძირითადი მიზანი იყო განესაზღვრა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების უსწრაფესი რეალიზაციის ღონისძიებანი და გზები.

ცხინვალში ჩამოვიდნენ რესპუბლიკის იმ დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, რომელთა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ ეს დადგენილება.

თათბირი, რომელიც მონაწილეთა შემადგენლობით სრულიად სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გამსვლელ სხდომად, გახსნა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა. თათბირის ამოცანა იყო დასახულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობის საფუძვლიანი და კონკრეტული განხილვა.

სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის ჰ. ნ. მარდანოვის ინფორმაციაში ჩამოთვლილი იყო ძირითადი ღონისძიებანი, რომლებიც უკვე განხორციელდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების დარგში.

ეი ამბ. მარდანოვის ინფორმაციიდან რამდენიმე ცნობა: აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა წელიწადში 3 მილიონი ბოთლი სიმძლავრის მინერალური წყლების ჩამოსასხმელი ქარხანა, საოლქო სომატური საავადმყოფო, ტურბაზები ცხინვალსა და ჯავაში, სასტუმრო ცხინვალში, განათლების, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მთელი რიგი ობიექტები. შენდება ტრიკოტაჟის თეთრეულის ფაბრიკა, მომდინარეობს მექანიკური ქარხნის, ხეტყის კომბინატის რეკონსტრუქცია, მატულობს საბინაო მშენებლობის ტემპი.

მიმდინარეობს ედის-ჯავა-ცხინვალის 60-კილომეტრიანი წყალსადენის დაპროექტება, უკვე დამთავრდა დრამატული თეატრის რეკონსტრუქციის პროექტის შედგენა, უახლოეს მომავალში დაიწყება პედაგოგიური ინსტიტუტის ახალი შენობის, ცხინვალის საწმენდი ნაგებობების, საცხოვრებელი სახლებისა და მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობა.

მაგრამ მთელმა რიგმა სამინისტროებმა და უწყებებმა სხვადასხვა მიზეზით ვერ შეასრულეს მინდობილი სამუშაოები. მაგალითად, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ ვერ უზრუნველყო ნაპრასპაგარი სამუშაოების დამთავრება ლენინგორში, არ მომზადებულა ცხინვალის ხიდის რეკონსტრუქციის პროექტი, ცეკავშირმა ვერ დაასრულა საბითუმო ბაზის, სავაჭრო ცენტრების მშენებლობა ჯავასა და ლენინგორში, მაღაზია-სასადილოებისა — ზნაურში... ამ და სხვა ობიექტების მშენებლობა გადაიდო 1980 და მომდევნო წლებისათვის. ზოგიერთმა სამინისტრომ და უწყებამ მთელი რიგი მინდობილი სამუშაოების შესრულება მეთერთმეტე ხუთწლედის უკანასკნელ წლებისათვის გათვალისწინა, ამიტომ უკვე ახლა მათი განხორციელება შეიძლება საეჭვოდ ჩაითვალოს.

თათბირის მონაწილეებმა, აქ კი მოწვეული იყვნენ ოლქის ხელმძღვანელი მუშაკები — საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, პარტიის რაიკომების მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, საოლქო აღმასკომის განყოფილებათა გამგეები, სხვადასხვა სამმართველოს უფროსები — ორატორებს შეკითხვები მისცეს პერსპექტიული გეგმების თითქმის ყველა საკითხის გამო, დასაბუთეს ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელების საჭიროება. რა თქმა უნდა, ისინი სკა-ბაასის ყველაზე დაინტერესებული მონაწილენი იყვნენ. საფუძვლიანი პასუხი გასცეს მათ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა შ. მ. ეცაძეშვილმა, რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრმა ვ. ი. კობახიძემ, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრმა მ. კ. მაღრაძემ, რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრმა ა. ო. მოვსისიანმა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. ვ. თაქთაქიშვილმა, რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა ვ. ა. სობოლევმა, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ნ. ა. მეძმარიაშვილმა, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ს. ვაშაკიძემ, კვების მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ თ. კ. ჯაბადარმა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ კ. ვ. გეგეჭკორეშვილმა, საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილემ ფ. პ. კახიძემ, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ო. ა. ქავთარაძემ, განათლების მინისტრის მოადგილემ მ. ნ. ქოჩაკიძემ, საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ ა. ს. გოშაძემ, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მ. პ. ქუთათელაძემ, „საქსახსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ა. ჭყონიამ, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ა. შოტნიაშვილმა, „საქმთავარწყალმშენის“ სამმართველოს უფროსის მოადგილემ კ. ნ. უკლებამ, „ავტოტექმომსახურების“ რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა ვ. ი. ყიფლაშვილმა.

საქართველოს კომპარტიის ლენინგორის რაიკომის პირველი მდივნის ნ. ა. ოდიშვილის, პარტიის ჯავის რაიკომის პირველი მდივნის ვ. ა. ჩოჩიევის, საოლქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ბ. ვ. ხაბალაშვილის, საოლქო აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგის გ. ი. ძაგოევის, წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის საოლქო სამმართველოს უფროსის მ. ლ. ალინდაულის, გამომცემლობა „ირისთონის“ დირექტორის გ. ი. ბესთაევის და სხვების კითხვებსა და შენიშვნებში ჩანს ღრმა დაინტერესება იმით, რომ იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა, ტექნიკურ-ეკონომიკურ დადგენილებებს შესრულება აქვთ დავალებული, რაც შეიძლება ზუსტად განსაზღვრონ თავიანთი დამოკიდებულება ამ საქმისადმი, კონკრეტული და ვარკვეული პასუხი გასცენ მუშაობის დაწყებისა და დამთავრების ვადების შესახებ.

პატარა ცნობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში მთელი სისრულითაა განსაზღვრული სამხრეთ ოსეთის ეკონომიკისა და კულტურის, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების კომპლექსური განვითარების ამოცანები. პარტიისა და მთავრობის ზრუნვას შრომითი კოლექტივები კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ. მაგალითად, მრეწველობის ბუშუალები სისტემატურად ასრულებენ გეგმებსა და ვალდებულებებს. უკვე მესამე წელია აქ არ არის ჩამორჩენილი საწარმო. წარმატებით შესრულდა აგრეთვე მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის ხუთი თვის პროგრამა. დღეს ოლქის საწარმოები უშვებენ 65 დასახელების სახელმწიფო ხარისხის ნიშნით პროდუქციას. ხუთწლედის დამდეგიდან სამრეწველო პროდუქციის მთელი მატება შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით არის იღწეული.

სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საფუძველზე კიდევ უფრო განვითარდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაც. ამისათვის მთელი რიგი ღონისძიებანი ტარდება. მიმდინარე წელს წყობრში ჩადგება მეცხოველეობის ორი კომპლექსი — სარძეო 800 სულისათვის და სასუქებელ 3 000 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის. ხორციელდება ყველა სახეობის პირუტყვის სადგომი სულადობის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების, მთის მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მთელი რიგი ქმედითი ღონისძიებანი. 1985 წლისათვის ოლქში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა 1977 წელთან შედარებით გაიზრდება 86 პროცენტით, შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა გაიზრდება 34,5 პროცენტით, ბოსტნეულისა — 2,3-ჯერ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარაიძემ შეაჯამა თათბირის შედეგები და აღნიშნა, რომ თათბირის მონაწილეთა შენიშვნებსა და წინადადებების საფუძველზე შემუშავდება მოქმედების კონკრეტული პროგრამა, რომლის შესრულებას დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ზ. ბაბასუკოვი.

კ. გაბარაევი,
ბ. ჯანიშელი
(საქინფორმის კორ).

იდეოლოგიური ცხოვრება

პროპაგანდისტთა დასახმარებლად

თბილისი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პოლიტგანათლების რესპუბლიკურ სახლში გაიხსნა დიდი გამოფენა იმ პოლიტიკური სკოლებისათვის, რომლებსაც ყველაზე მომზადებული მსმენელები ჰყავთ, აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლებისათვის სასწავლო გეგმისა და პროგრამის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ორწლიანი კურსისათვის — „მოძღვრება, რომელიც გარდაქმნის სამყაროს“.

აქვე, ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა, რომელიც მეიძლება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. გამოფენა შედგება სამი განყოფილებისაგან, სადაც წარმოდგენილია ლიტერატურა შემდეგ თემებზე: საბჭოთა ყაზბრის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა იდეოლოგიური მუშაობის ამოცანების შესახებ; საბჭოთა ადამიანებში კოშონსტიტუციური ინფორმაციის აღმრდის შესახებ; პროპაგანდისა და აგიტაციის მაღალი სამეცნიერო დონის უზრუნველყოფა.

ეძღვნება პირველ ხუთწლედს

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის 50 წლისთავს მიეძღვნა ერთი დღის სემინარი, რომელიც გაიმართა სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკურ კაბინეტში.

სემინარის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გამოცდილება, დასახეს „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად შეჯიბრების ” ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის კონკრეტული ღონისძიებანი.

აქტიური ცხოვრებისეული პოზიციებიდან

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა და გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციამ მოაწყვეს მეთოდიკურ-პრაქტიკული კონფერენციები, რომელიც მიეძღვნა იდეოლოგიური ფრონტის აქტივისტთა ამოცანებს „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

დასასრულ ამოცანათა გადაწყვეტის სრულად რომ შეუწყონ ხელი, ხაზგასმით აღნიშნეს კონფერენციის მონაწილეებმა, პროპაგანდისტებმა თვითონ უნდა შეისწავლონ ღრმად პარტიის ეს საპროგრამო დოკუმენტი, გაიზიარონ მისი ყოველი დებულება და დასკვნა და შემდეგ მკაფიოდ და გასაგებად განმარტონ პარტიის სიტყვა თავიანთ მსმენელებს.

გონიერი მანქანები

თბილისის „ელვას“ საგეგმიერო-საწარმოო გაერთიანების მმართველი გამომთვლელი მანქანების ქარხანა საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა საწარმოა.

სურათზე: გამომთვლელი კომპლექსი, რომელ ს ა ც მძლავრი ენერგობლოკების, თბო და ატომური ელექტროსადგურების მართვის ავტომატიზებულ სისტემებში იყენებენ. გამმართველი ინჟინერები უ. ნაცვლიშვილი და გ. რაზიკაშვილი უკანასკნელად ცდიან მანქანების ირანის ერთ-ერთ თბოელექტროცენტრალში გაგზავნის წინ.

მ. დათიკაშვილის ფოტო.



მე საბჭოთა მოქალაქე-ვარ

კანონი ძალაში შევიდა

პირველი ივლისიდან ძალაში შევიდა „კანონი სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“, იგი დამტკიცა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს X სესიამ 1978 წლის 1 დეკემბერს. იმავე დღეს სესიამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც გადაწყდა „შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ 1979 წლის 1 ივლისიდან“.

კანონის დამტკიცებიდან 7 თვის შემდეგ ძალაში შესვლის მიზეზი არა მარტო ის არის, რომ კარგად გაიცნონ მისი შინაარსი საბჭოთა მოქალაქეებმა, არამედ ისიც, რომ იგი უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქეებმაც გაიცნონ და მოქალაქეობის არმქონე პირებმაც, რომლებმაც უნდა გაითვალისწინონ კანონის მოთხოვნები მოქალაქეობის მიღების, ბავშვებისათვის მოქალაქეობის მინიჭების, სხვადასხვა მოქალაქეობის მქონე მეუღლეთა შვილებისათვის მოქალაქეობის მდგომარეობის, შვილად აყვანის შემთხვევაში მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტის და სხვა წესების შესახებ.

აღნიშნული კანონი მიღებულია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის — განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ძირითადი კანონის შესაბამისად.

მოქალაქეობა საერთოდ პიროვნების ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი მიკუთვნების გულისხმობს, რის მიხედვითაც განისაზღვრება მისი უფლებები და მოვალეობანი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მოქალ

ვ. ი. ლენინის „დიადი თაოსნობის“ მე-60 წლისთავის გამო

კომუნისტური შრომის თეორიული საფუძვლები

60 წელი გავიდა, რაც დაიწერა ვ. ი. ლენინის შრომა „დიადი თაოსნობა“. ეს პატარა ნაშრომი მრავალმხრივ არის საყურადღებო. მასში განზოგადებულია მოსკოვიაზნის რკინიგზის მუშების ინიციატივა, რომელსაც მას შემდეგ ყოველ წელიწადს აწყობენ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ვ. ი. ლენინის ამ ნაშრომში ეს ღონისძიება მიჩნეულია დიად თაოსნობად, რომელშიც გამოვლინდა კომუნიზმის პირველი ყლორტები და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების საწყისი ფორმა. ნაშრომი „დიადი თაოსნობა“ იმის დასტურია, თუ რაოდენ დიდ შეფასებას აძლევდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი შეგნებულ შრომას, რომელიც მას ახალი ეკონომიკური ურთიერთობის არსებით ელემენტად მიაჩნდა.

სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ საბჭოთა ქვეყანაში გვიჩვენა საბჭოთა წყობილების უდიდესი უპირატესობა კაპიტალისტურთან შედარებით, დაამკვიდრა სახალხო მეურნეობის მართვის პრინციპულად ახალი დემოკრატიული ფორმები და მეთოდები.

ვ. ი. ლენინი კომუნისტთა პარტიის უმთავრეს ამოცანად იმას მიიჩნევდა, რომ დიდი ყურადღებით მოპყრობოდნენ კომუნიზმის ყლორტებს.

ახალი შრომითი დისციპლინის შექმნისა და განმტკიცების ლენინურმა იდეებმა მეცნიერული კომუნიზმი გაამდიდრა მნიშვნელოვანი თეორიული დებულებებით. ამ დებულებებმა შემდგომში პრაქტიკულად შეისხა ხორცი დამკვრელთა, სტახანოველთა და კომუნისტური შრომის მოძრაობაში.

გარდა ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხებისა, ჩვენთვის ძვირფასია, რომ ნაშრომ „დიად თაოსნობაში“ ლენინმა მიუთითა მომავალ საზოგადოებაში კლასებისა და კლასობრივი განსხვავების მოსპობაზე და მარქსიზმის ისტორიაში პირველად მოგვცა კლასების განსაზღვრება.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ სტრუვეს მიერ ხალხოსნობის კრიტიკის ანალიზის პროცესში განსაზღვრა კლასების შესახებ მარქსის მოძღვრების როლი მეცნიერული სოციოლოგიის ჩამოყალიბებაში, მიუთითა, რომ კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულმა თეორიამ შეძლო დაეგვიგრგვინებინა სოციოლოგების მისწრაფება, იდეალური დაეყვანა სოციალურამდე.

„ამავე ლენინი გარკვევით აღნიშნავდა კლასის ძირითად ნიშნებს და წერდა, რომ მოქმედებათა მრავალგვარობა, ერთი შეხედვით, შეუძლებელს ხდის მათს სისტემატიზაციას, მაგრამ მოქმედ სუბიექტთა ჯგუფებად დაყოფა და მათ მოქმედებაში განსხვავებულობა გვაძლევს საშუალებას გავარჩიოთ ერთმანეთისაგან კლასები, რომლებიც განსხვავებული იქნებიან მათი როლით წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში, მათი საარსებო პირობებით და ინტერესებით. სწორედ ამ ნიშნებით განსაზღვრავდა ლენინი ამ ეტაპზე კლასებს და გვიჩვენებდა, რომ მარქსის თეორიაში „ცოცხალ პირონებათა“ მოქმედება ყოველი ასეთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ფარგლებში, — მოქმედება, რომელიც უსაზღვროდ მრავალგვარია და თითქოს არავითარ სისტემატიზაციას არ ემორჩილება, — განზოგადებულ და დაყვანილ იქნა პიროვნებათა იმ ჯგუფების მოქმედებამდე, რომელნიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მათი როლით წარმოებითი ურთიერთობის სისტემაში, წარმოების პირობებისა და, მასადამე, მათი საარსებო ვითარების პირობების მიხედვით, იმ ინტერესების მიხედვით, რომელნიც ამ ვითარებით ისაზღვრებოდნენ, — ერთი სიტყვით, დაყვანილ იქნა იმ კლასთა მოქმედებამდე, რომელთა ბრძოლაც საზღვრავდა საზოგადოების განვითარებას“.

ამ მსჯელობაში კლასის ძირითადი ნიშნებიდან რამდენიმე გაერთიანებულია განზოგადებულად მოცემულ ფორმულაში, წარმოების პირობებისა და მათი საარსებო ვითარების ცნებაში. ნიშნები ჯერ კიდევ არსებითად დიფერენციულად არ არის წარმოდგენილი, „გარდა ერთისა — წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში ადამიანთა როლისა. სხვა ადგილას ლენინი კიდევ უფრო განზოგადებულად წარმოადგენს კლასებს და მათ მისწრაფებებს, როგორც „იმ რეალური ჯგუფების **რეალურ ინტერესებს**, რომელთაც გარკვეული ადგილი უკავიათ თანამედროვე საზოგადოებრივი მეურნეობის საერთო წყობაში“. უფრო ვრცლად კლასის ნიშნები ლენინმა წარმოადგინა სოციალისტ-რევოლუციონერებთან ბრძოლაში, რომელნიც უბრუნდებოდნენ მარქსამდელი სოციოლოგების შეხედულებებს და კლასების განსაზღვრებაში ქმაყოფილდებოდნენ შემოსავლის წყაროებზე მითითებით. ვ. ი. ლენინი წერს, რომ კლასების ასეთი გაგება ჯერ კიდევ მარქსმა უარყო, და სავსებით ბუნებრივად, რადგან კლასის ასეთ გაგებაში განმსაზღვრელია განაწილების ურთიერთობა, რომელიც პირველადი არ შეიძლება იყოს, რადგან საკუთრების ფორმების შედეგია. ლენინი აღნიშნავს, რომ „კლასებს შორის განსხვავების ძირითადი ნიშანი არის მათი ადგილი საზოგადოებრივ წარმოებაში და, მაშასადამე, მათი დამოკიდებულება წარმოების საშუალებებისადმი. წარმოების საზოგადოებრივ საშუალებათა ამა თუ იმ ნაწილის მითვისება და მათი მოხმარება კერძო მეურნეობაზე, პროდუქტის გამყიდველ მეურნეობაზე, — აი თანამედროვე საზოგადოების ერთი კლასის (ბურჟუაზიის) ძირითადი განსხვავება პროლეტარიატისაგან, რომელიც მოკლებულია წარმოების საშუალებებს და ყიდის თავის სამუშაო ძალას“.

აქ წარმოდგენილია კლასების სამი ძირითადი ნიშანი. ადგილი საზოგადოებრივ წარმოებაში, საკუთრების ფორმები და განაწილების ფორმები. ეს ნიშნები ლენინს მიყენებული აქვს ორი ანტაგონისტური კლასის — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის მიმართ. წინა დებულებებთან შედარებით კლასის ნიშნები აქ წარმოდგენილია სრულყოფილად, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ამომწურავად დახასიათებული. ეს ლენინმა უფრო გვიან გააკეთა, 1919 წელს ნაშრომში „დიადი თაოსნობა“, სადაც საბოლოოდ და სრულად ჩამოაყალიბა კლასის ყველა არსებითი ნიშანი. უნდა აღინიშნოს, რომ აქ ლენინი მსჯელობს კლასებზე და არა კლასზე. ამ გარემოებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს კლასების ლენინური განსაზღვრების გასაგებად, რადგან კლასების ნიშნები აქ ერთმანეთთან მიმართებაშია ჩამოყალიბებული და ზოგიერთი ამ მიმართებათა გარეშე საერთოდ წარმოუდგენელია, ლენინი აქ კლასებზე მსჯელობს და არა კლასზე იზოლირებულად, ეს ნიშნავს, რომ კლასობრივი საზოგადოების სტრუქტურა ყოველთვის კლასებს გულისხმობს და არა კლასს, რომ კლასებს შორის მიმართებაში იჩეკვევა მათი კლასობრივი დიფერენციაციაც. კლასის ლენინური განსაზღვრება შემდეგნაირად გამოიყურება. კლასები ეწოდება ადამიანთა დიდ ჯგუფებს, რომლებიც განსხვავდებიან მათი ადგილით საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, მათი (მეტწილად კანონებში განმტკიცებული და გაფორმებული) დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი, მათი როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, და, მაშასადამე, საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ წილის მიღების წესით და სიდიდით, რომელიც მათ ხელთ აქვთ. კლასები, ეს ადამიანთა ისეთი ჯგუფებია, რომელთაგან ერთს შეუძლია მითვისოს მეორის შრომა, საზოგადოებრივი მეურნეობის განსაზღვრულ წყობილებაში მათი ადგილის „განსხვავების მეოხებით“.

ამ განსაზღვრებაში დასახელებულია კლასების გვარი და სპეციფიკური ნიშნები. გვარის როლს ასრულებს „ადამიანთა დიდი ჯგუფების ცნება“. კლასები ერთ-ერთი სახეობაა ამ დიდ ჯგუფებს შორის, რომლის სპეციფიკასაც გამოხატავს განსაზღვრებაში ჩამოთვლილი ძირითადი ნიშნები.

ვ. ი. ლენინმა კლასების მეცნიერული ცნების ჩამოყალიბებით პასუხი გასცა კლასების არსებობის შესახებ მარქსის მიერ „კაპიტალში“ დასმულ კითხვას და გვიჩვენა კლასებისა და კლასობრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა ურთიერთმიმართების ... ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის ცდაბილი წარმომადგენელი ერიხ ფრომი კლასებს უკავშირებს ანგარებას და მიაჩნია, რომ „ანგარებას მივყავართ უსასრულო კლასთა ბრძოლამდე“, ამიტომ „კომუნისტების მტკიცება, რომ მათ სისტემაში კლასთა ბრძოლა კლასების მოსპობით დასრულდება, ფიქციაა. მათი სისტემაც დაფუძნებულია უსაზღვრო ანგარებაზე. სანამ თითოეულს ექნება სურვილი — ჰქონდეს მეტი, კვლავ წარმოიქმნება კლასები და „უცილებელი იქნება კლასობრივი ბრძოლა“. ფრომის ამ რევიზიონისტულ მოსაზრებებს საფუძველს აცლის კლასის ძირითადი ნიშნები, რომელნიც ობიექტურია, ანგარება და სხვა ფსიქიკური ფენომენები მეორადია კლასის წარმოქმნის საკითხში და არსებითს როლს არ ასრულებს.

სამოცი წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც დაიწერა ვ. ი. ლენინის ნაშრომი „დიადი თაოსნობა“, საბჭოთა კავშირში აშენდა განვითარებული სოციალიზმი და ჩვენი ქვეყანა წარმატებით წყვეტს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს.

პროფესორი **ე. კოდუა.**

აფხაზეთის კურორტებს — სანიმუშო სანატორიუმებრივი წესრიგი

სოჩაში გაიმართა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრთა კოლეგიის, აგრეთვე ... ოლქის, ...

დაუვიწყარი შეხვედრები

დამთავრდა აფხაზური მუსიკის დღეები

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ აფხაზური მუსიკის დღეები. რამდენიმე ხნის განმავლობაში დედაქალაქის საზოგადოებრიობა, აგრეთვე რუსთაველი და თელაველი მშრომელები მოწმე იყვნენ, თუ როგორ ვითარდება და ახალ მწვერვალებს აღწევს მუსიკალური კულტურა საბჭოთა აფხაზეთში.

დღეს თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს და აფხაზეთის მუსიკალური კადრების აღზრდაზე გვესაუბრება **თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი სულხან ცინცაძე:**

— მართლაც სასიამოვნო დღეები იყო. ეს მით უფრო ვიგრძენით ჩვენ, პედაგოგებმა. აფხაზეთის პროფესიული მუსიკის დღევანდელი წარმომადგენლების, კომპოზიტორებისა თუ მუსიკოს-შემსრულებლების დიდი ნაწილი ხომ თბილისის კონსერვატორიის აღზრდილია.

ჩვენს კონსერვატორიაში ყოველთვის იზრდებოდნენ მუსიკალური კადრები მზიური აფხაზეთიდან. აქ მიიღეს მუსიკალური განათლება აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ ს. ქეცბამ, კომპოზიტორებმა რ. გუმბამ, კ. ჩენგელიამ, ვ. ჭკადუამ და სხვებმა, რომელთა მასწავლებლები იყვნენ ცნობილი პედაგოგები ა. ბალანჩივაძე და ა. შავერზაშვილი.

მათი ნიჭი და უნარი კარგად გამოიჩინა ამ დღეებმა, მაგრამ მე, როგორც პროფესიონალმა, უნდა აღვნიშნო ზოგიერთი ხარვეზიც, რაც ჩვენს აფხაზ კოლეგებს, ალბათ, საწყენად არ დარჩებათ და შემდგომ მუშაობაშიც გაითვალისწინებენ: ეს ეხება სიმფონიურ მუსიკას. ამ ჟანრის ნაწარმოებთა უმრავლესობა გადატვირთულია ეღერადობით, უნდა გაიზარდოს ჰორიზონტები. ყოველივე ამას გამოცდილება და დიდი მუშაობა სჭირდება. მთავარია, რომ დღევანდელი აფხაზური პროფესიული მუსიკა სწორ გზაზე დგას და წარსულის სურათებს შესანიშნავად უხამებს მჩქეფარე დღევანდელობას.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია კვლავაც ძმურ დახმარებას გაუწევს აფხაზეთს პროფესიულ მუსიკოსთა აღზრდაში. წელსაც ველოდებით ნიჭიერ ახალგაზრდებს. მათ ყოველგვარი პირობა ექნებათ, რომ დაეუფლონ ჭეშმარიტი მუსიკის საფუძვლებს, რომ ხვალ უფრო აამაღლონ აფხაზური პროფესიული მუსიკის დონე, გააფართოონ მისი მასშტაბი.

□

თელავი. (საკ. კორ.). აფხაზ მეგობრებს შეხვედრები ჰქონდათ თელავის რაიონის მშრომელებთან. სტუმრებმა დათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ეწვივნენ თელავის სამუსიკო სასწავლებელს.

აი რას ამბობს ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის გამო **თელავის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი, კომპოზიტორი რ. ქარუხნიშვილი:**

— **ᲘᲛᲘᲡ** გარდა, რომ აფხაზ მუსიკოსებთან შეხვედრამ და მათმა კონცერტმა დიდი სიამოვნება მოგვანიჭა, კიდევ ერთი კარგი საქმე გაკეთდა: აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარესთან, სოხუმის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორთან ს. ქეცბასთან პირადი შეხვედრით საძირკველი ჩაეყარა თელავისა და სოხუმის სამუსიკო სასწავლებლების შემოქმედებითის მეგობრობას, რაც, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გაამდიდრებს, უფრო მყარსა და საფუძვლიანს გახდის ამ ორი სასწავლებლის პედაგოგთა და მოსწავლეთა შემოქმედებითს ურთიერთობას.

— **ᲩᲔᲛᲘᲗ** მეხსიერებაში კი დღევანდელი დღე კულტურული დასვენების ყველაზე ლამაზ დღედ დარჩება, — გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებას **თელავის რაიონის მთავარი ექიმი მ. გზირიშვილი,** — აღფრთოვანებული დავრჩი საგუნდო კაპელის გამოსვლით, განსაკუთრებით მომხიბლა კონცერტის პირველმა განყოფილებამ, სადაც აფხაზმა მეგობრებმა ოსტატურად შეასრულეს შუა საუკუნეების კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ № 2 სამუსიკო სკოლის დირექტორმა, გუნდის დირიჟორმა ბ. აკოლაშვილმა თქვა:

— დიდი ინტერესი გამოიწვია ამ ბოლო დროს ისეთი საინტერესო მუსიკალური კოლექტივების ჩამოსვლამ, როგორიც არის საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს სახელმწიფო კაპელა, ვორონეჟის თვითმოქმედ მომღერალთა გუნდი და ა. შ. მაგრამ სულ სხვა სიხარული მოგვანიჭა აფხაზეთის სახელმწიფო კაპელის კონცერტმა. ამ მეცირერიცხოვანი გუნდისა და მათი ხელმძღვანელის ვ. სუდაკოვის გამარჯვეებად მიმაჩნია ძალზე რთული ნაწარმოებების ოსტატურად შესრულება.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ Ა. Მ. ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ



ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1979-1980 ᲡᲐᲡᲬᲐᲥᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲔ, ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

აფხაზური ენა და ლიტერატურა;

ქართული ენა და ლიტერატურა;

რუსული ენა და ლიტერატურა;

ინგლისური ენა (აფხაზური და ქართული სექტორები);

გერმანული ენა (აფხაზური და ქართული სექტორები);

მრეწველობის დაგეგმვა (რუსული სექტორი);

საბუღალტრო აღრიცხვა (აფხაზური, ქართული, რუსული სექტორები);

მართალმცოდნეობა (რუსული სექტორი);

ისტორია (აფხაზური და ქართული სექტორები);

ფიზიკა (ქართული და რუსული სექტორები);

მათემატიკა (ქართული და რუსული სექტორები);

ბიოლოგია (ქართული და რუსული სექტორები);

გეოგრაფია (აფხაზური სექტორი);

დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (აფხაზური და ქართული სექტორები);

სკოლამდელი პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (აფხაზური სექტორი);

ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა (რუსული სექტორი);

ფიზიკური აღზრდა (ქართული და რუსული სექტორები).

ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ქართული ენა და ლიტერატურა;

რუსული ენა და ლიტერატურა;

ფიზიკა (რუსული სექტორი);

მათემატიკა (რუსული სექტორი).

ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

აფხაზური ენა და ლიტერატურა;

ქართული ენა და ლიტერატურა;

რუსული ენა და ლიტერატურა;

ისტორია (რუსული სექტორი).

გეოგრაფია (ქართული სექტორი).

დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (რუსული სექტორი).

შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

სპეციალობები: აფხაზური ენა და ლიტერატურა, ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, სამართალმცოდნეობა, ისტორია, უცხო ენები — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), უცხო ენაში (ზეპირი).

სპეციალობები: მრეწველობის დაგეგმვა, საბუღალტრო აღრიცხვა — მათემატიკაში (წერა), გეოგრაფიაში (ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

სპეციალობები: მათემატიკა, ფიზიკა, ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა — მათემატიკაში (წერა და ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

სპეციალობები: ბიოლოგია — ბიოლოგიაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

სპეციალობა: გეოგრაფია — გეოგრაფიაში (ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი), ისტორიაში (ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

სპეციალობა: დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი).

სპეციალობა: სკოლამდელი პედაგოგიკა და ფსიქოლოგია — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), ბიოლოგიაში (ზეპირი).

სპეციალობა: ფიზიკური აღზრდა — სპეციალობაში (ტანვარჯიში, ცურვა, მძლეოსნობა), ბიოლოგიაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

საღამოს განყოფილებაზე მიიღებიან ქალაქ სოხუმსა და მის გარეუბნებში მცხოვრებნი, ხოლო დაუსწრებელზე — აფხაზეთის ასსრ, ქალაქ ზუგდიდის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და მესტიის რაიონების მცხოვრებლები.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე, ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-დან 16 საათამდე.

მისაღები გამოცდები მოეწყობა 1-დან 20 აგვისტომდე.

დამატებითი ცნობების მიღება შეიძლება აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმღებ კომისიაში (ქ. სოხუმი, ჭოჭუას ქ. № 40, ტელეფონი: 2-43-79).

ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝ ᲛᲐᲠᲗᲠᲣᲢᲔᲑᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ გაზეთის „ფაინენშლ ტაიმსის" თეატრალურ კრიტიკოსს მაიკლ კოვენის არ დახვრდება საქართველოში ჩამოსვლა, რათა თბილისელების მიერ დადგმული უ. შექსპირის „რიჩარდ მესამე" იხილოს. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი ინგლისში მიემგზავრება საგასტროლოდ, სადაც მონაწილეობას მიიღებს ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალში. იქ თეატრი აჩვენებს თავის ორ საუკეთესო სპექტაკლს „რიჩარდ მესამეს" და ბ. ბრეხტის „კავკასიურ ცარცის წრეს".

მაიკლ კოვენი, რომელიც ორი წლის წინათ გაეცნო ქართველ მსახიობთა ხელოვნებას მექსიკის ფესტივალზე, თავის გაზეთში წერდა: „...როგორც მითხრეს, რუსთაველის სახელობის თეატრი დასადგმელად ამზადებს „რიჩარდ მესამეს". მზადა ვარ საქართველოში გავემგზავრო თუნდაც ფოსტის ცხენებით, ოღონდ ეს ბაქანაკლი ვნახო!"

ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘᲡ მ. გორკის სახელობის დიდი დრამატული აკადემიური თეატრის შენობაში უკვე დაიწყო გასტროლები თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრმა. გრიბოედოველებმა საგასტროლო აფიშაში შეიტანეს თავიანთი ათი საუკეთესო სპექტაკლი.

რუსთავის თეატრის დასი ივლისის პირველ ნახევარში ქუთაისს ესტუმრება, შემდეგ კი ბათუმში გაემგზავრება. თავის საუკეთესო სპექტაკლებს ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი ფოთში აჩვენებს ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ თეატრის მსახიობები გამოვლენ ზუგდიდში, ხოლო ზუგდიდის თეატრი ამავე დროს თავის ხელოვნებას გააცნობს ჭიათურელებსა და საჩხერელებს.

განსაკუთრებით მრავალფეროვანია ფოთის თეატრის საგასტროლო მარშრუტები — დასი მახარაძეში თეატრალური ხელოვნების რესპუბლიკურ ფესტივალში მონაწილეობის შემდეგ გაემგზავრება ხაშურში, ქარელში, კასპში და გამოსვლებს გააგრძელებს ბორჯომში, ბაკურიანში, ადიგენში, ახალციხეში, კახეთის რაიონებში. (საქინფორმი).

კოსმონავტი — აჭარის სტუმარი

სსრ კავშირის მფრინავი კოსმონავტი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ავიაციის გენერალ-მაიორი პავლე პოპოვიჩი კურორტ ქობულეთს ესტუმრა.

კოსმოსის სახელოვანი დამპყრობი, მისი მეუღლე, გამომცდელი მფრინავი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ინჟინერ-პოლკოვნიკი მარინე პოპოვიჩი და მათი ქალაშვილი ოქსანა გაეცნენ ავტონომიური რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს, ესტუმრნენ ბოტანიკურ ბაღს, ჩაის პლანტაციებს, დაათვალიერეს ბათუმი და ქობულეთი.

სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბათუმის დელფინარიუმმა. მათ ნახეს ახალი სადემონსტრაციო პროგრამის ყველაზე საინტერესო ნომრები.

* * *

სურათზე: პავლე, მარინე და ოქსანა პოპოვიჩები ბათუმის დელფინარიუმში.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფინეთი — საბჭოთა კავშირი

ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡᲐ და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების მატჩს, რომელიც 4 ივლისს გაიმართება ჰელსინკში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ორივე მხარეს მხოლოდ მოგება აძლევს ხელს.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ევროპის პირველობის VI შესარჩევ ჯგუფში ფინელთა თითოეულ გამოსვლას სენსაციურობის ელფერი დაჰკრავს. მათ ამ ტურნირში 3 მატჩი გამართეს და სამივემ მოულოდნელი შედეგი მოიტანა.

შარშან 24 მაისს ფინელებმა საკუთარ მინდორზე მიიღეს ბერძნები. მატჩს ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე სულ 8 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. ორი ბურთი გაიტანა ისმაილმა, ერთი — ი. ნიემინენმა.

20 სექტემბერს ფინელებმა იმავე მინდორზე მიიღეს უნგრელები. მაყურებელთა რაოდენობა კიდევ უფრო ნაკლები იყო — 4800. მასპინძლებმა ეს მატჩიც შესანიშნავად წარმართეს და მოიგეს ანგარიშით 2:1. ბურთები გაიტანეს ისმაილმა და პიიკომ.

ამ ორი მოგების შემდეგ ფინეთის ნაკრები შესარჩევ ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ამიტომ მოულოდნელი იყო, როცა ბონგამანადგურებული ანგარიშით (1:8) წააგო მატჩი ათენში ბერძნებთან. ამ შეხვედრას 28 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. ფინელთაგან ბურთი გაიტანა ჰეისანენმა.

1 იანვრიდან ფინელებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ — ესკო მალმი, რომელმაც ჩეხოსლოვაკიელი სპეციალისტი პეშენი შეცვალა. თებერვალში მალმიმ სამი ამხანაგური მატჩი ჩამართა ერაყსა და ბაჰრეინში. ფინელებმა ორჯერ წააგეს (0:1, 0:2,) ერაყელებთან, მაგრამ სძლიეს ბაჰრეინის ნაკრებს (1:0). ეს გოლი გაიტანა ნაკრების ახალმა მოთამაშემ ბაგმანმა. მარტში ფინელებმა კიდევ ერთი მატჩი გამართეს სტოკჰოლმში აიკთან და დამარცხდნენ ანგარიშით 1:3. ამ ერთადერთი ბურთის ავტორია ისმაილი.

25 ივნისს ფინელებმა თავი მოიყარეს ერეკელის საწვრთნელ ბაზაზე ჰელსინკის მახლობლად. მათი ერთ-ერთი მწვრთნელი 27 ივნისს ესწრებოდა საბჭოთა კავშირისა და დანიის ნაკრებთა მატჩს კოპენჰაგენში. მიმომხილველები ელიან, რომ საბჭოთა ნაკრებთან შეხვედრის წინ ფინელების შემადგენლობა გადახალისდება.

Გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲔᲠᲗᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲐᲓ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ლიგის რეგბისტთა გუნდებმა განაახლეს ბრძოლა მედლებისათვის. საკავშირო ჩემპიონატის ლიდერებმა — თბილელმა რკინიგზელებმა შინ დაამარცხეს თავიანთი მოსკოველი თანაკლუბელები ანგარიშით 10:6. კიევის „ავიატორმა" მოსკოვში მოუგო ადგილობრივ „სლავას" — 6:0. ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდისა (მოსკოვის ოლქი) და მოსკოვის „ფილის" შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 6:6, ექვსი ტურის შემდეგ თბილისელებს 16 ქულა აქვთ. მომდევნო ადგილებზე არიან „სლავა" — 14 ქულა, „ფილი" — 13, სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი — 12, „ავიატორი" — 11, მოსკოვის „ლოკომოტივი" — 6 ქულა.

აკადემიკოს თ. დავითაიას დაკრძალვის მოგონები კომისიისაგან

ᲡᲐᲛᲝᲩᲐᲚᲐᲥᲝ პანაშვიდი გაიმართება ა. წ. 3 და 4 ივლისს 20 საათზე განსვენებულის ბინაში (კამოს ქ. № 4), 5 ივლისს 15 საათზე — საქართველოს სსრ გეოგრაფიულ საზოგადოებაში.

გამოსვენება — 5 ივლისს 17 საათზე საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოებიდან (კეცხოველის ქ. № 11).

დაკრძალვა — საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

Ბ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲐ!



ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲗ ᲣᲜᲘᲜᲓᲔᲥᲡᲝᲓ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲔᲫᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲓᲠᲝᲕᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲑᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲐ აადგილებს დახარისხებას და პრაქტიკულად გამორიცხავს გზავნილების დაგვიანებით ჩაბარებას.

მალე თბილისის ფოსტამტში დაიდგმება ელექტროდამახარისხებელი მანქანა, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ინდექსიანი გზავნილების დახარისხება.

მაგრამ დღესაც ინდექსი საგრძნობლად აჩქარებს ხელით დახარისხებას.

სწორად მითითებული ინდექსი კორესპონდენციის დროულად და უშეცდომოდ ჩაბარების გარანტიაა.

უეჭველად აღნიშნეთ გზავნილზე თქვენი და ადრესატის ექვსნიშნა საფოსტო ინდექსი.

საფოსტო ინდექსაციის ... ლე ცნობარები იყიდება „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲤᲝᲡᲢᲐᲛᲢᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

3 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში" (მ.), 16.30 — ᲐᲑᲘᲘᲣᲠᲘᲔᲜᲢᲗᲐᲗᲕᲘᲡ — ქართული ენა (ფ.), 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.20 — განცხადებები (ფ.), 17.25 — ბავშვის საერთაშორისო წელი — მხატვრული ფილმი „საოცარი ბერენდეევი", 18.30 — „მღერიან ბედოგიები" (რუსთავის სამუსიკო სკოლის ქალთა გუნდი), 18.45 — ახალგაზრდობისთვის გადაცემა ციკლიდან „გზები, რომელსაც ვხედავ ვირჩევთ", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.25 — „რედაქციაში წერილი მოვიდა" (ნაწილი პირველი), 21.10 — კინოეპოპეა „დიდი სამამულო" — „მოკავშირეები". ფილმი მეჩვიდმეტე (მ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „რედაქციაში წერილი მოვიდა" (ნაწილი მეორე), 23.05 — სპორტული მიმოხილვა. (ფ.).

ᲗᲔᲐᲢᲠᲝ

3 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ᲜᲐᲑᲐᲠᲫᲔᲚᲘ (პრემიერა); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური (პროფკავშირების კულტურის სასახლეში, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 43) — ᲗᲘᲗᲐᲜᲘᲙᲐᲚᲘ; ვასო აბაშიძის სახელობის შუსიკალური კომედიის — ᲞᲐᲠᲗᲘ ᲘᲜᲘᲡ ᲓᲔᲓᲘᲜᲘᲡᲐ. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია (მეგებრის პალაგზე) — ᲕᲘᲝᲚᲝᲜᲩᲔᲚᲘᲡᲢᲘ-ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ „ᲠᲝᲠᲐᲠ".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორი, გამოჩენილი საბჭოთა გეოგრაფი მეცნიერი, გეოგრაფთა საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ᲗᲔᲝᲤᲐᲜᲔ ᲤᲐᲠᲜᲐᲡ ძე ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოება და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე საზოგადოების პრეზიდიუმისა და კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ᲗᲔᲝᲤᲐᲜᲔ ᲤᲐᲠᲜᲐᲡ ძე ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" რესპუბლიკური და თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობათა პრეზიდიუმები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე, აკადემიკოსი

ᲗᲔᲝᲤᲐᲜᲔ ᲤᲐᲠᲜᲐᲡ ძე ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

1979 ᲬᲚᲘᲡ 23-დან 27 ივლისამდე პერიოდში პანევეჟესის, ტაურაგის, ალიტუსის რაიონში დაგეგმილია ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის ჯარების წვრთნა პირობითი სახელწოდებით „ნემანი" სხვადასხვა გვარეობის ჯარების საველე გაწვრთნილობის სრულყოფისა და შეთანხმებული მოქმედების განსაზღვრისათვის. წვრთნაში მონაწილეობას მიიღებენ სამხედროო ჯარებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების ნაწილები და ქვეგანაყოფები.

წვრთნის მონაწილე ჯარების სავარაუდო რიცხვი დაახლოებით 25 ათასია.

მომზადებული შეხვდნენ

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ. (საკ. კორ. გ. ვაშაკიძე). ბორჯომის ტურისტული ბაზა ხუთ საკავშირო მარშრუტს ემსახურება. წელს ამ მარშრუტით 20 ათასამდე ტურისტი იმოგზაურებს.

ტურიზმი ახალ სეზონს მომზადებული შეხვდა. კაპიტალურად შეკეთდა საცხოვრებელი კორპუსები, დამხმარე ნაგებობანი, გალამაზდა და კეთილმოწყობილია ტურბაზის ტერიტორია.

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ 30 ᲙᲐᲒᲘᲙᲐᲓ

ᲗᲔᲚᲐᲕᲔᲚᲛᲐ ა. ოთარაშვილმა რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის 1979 წლის დამატებითი ტირაჟის ლატარიის ბილეთი. ბილეთი ბედნიერი აღმოჩნდა. მას წილად ხვდა დიდი მოგება — ავტომანქანა „მოსკვიჩი".

(საქინფორმი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ. ᲛᲝᲠᲘᲒᲘ V ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ 1971 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲐᲜᲘᲐᲜᲗᲐ. მოსკოს გარდა სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები მოეწყო რიგაში, უფაში, ვორონეჟში, კიევსა და ლვოვში, დამყარდა 20 მსოფლიო, 19 — ევროპის, 35 — საბჭოთა კავშირისა და 242 — მოკავშირე რესპუბლიკების რეკორდი. სპარტაკიადის პრესცენტრში აკრედიტებული იყო 1011 ჟურნალისტი. მათ შორის უცხოეთის 17 ქვეყნის 112 წარმომადგენელი.

საქართველოს სპორტსმენებმა უზარ მოსავალი მოიმკეს (21 პირველი ადგილი, 7 — მეორე და 17 — მესამე), მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ სპარტაკიადის საერთო-გუნდურ ჩათვლაში წინანდელივით მეზუთე საპრიზო ადგილი მოეპოვებინათ. იმ დროს, როდესაც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებას, სპორტსმენთა შემდგომ დაოსტატებას, ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში თავი იჩინა თვითდამშვიდებამ, მათ სათანადოდ ვერ შეაფასეს სპორტში შექმნილი ვითარება. ამის შედეგი გახლდათ, საქართველოს სპორტსმენთა ნაბიჯით უკან დაიხია და ამჯერად საერთო-გუნდურ ჩათვლაში მეექვსე ადგილს დასჯერდა.

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲓᲐᲜ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲐᲓᲐᲛᲓᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘ...

ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲡᲐᲜᲔᲔᲕᲘ (ორივე — მძლეოსნობა), **თინათინ ლეკვეიშვილი** (100 და 200 მეტრზე გულღმა ცურვა), **ლუბა ასატუროვა** (მშვილდოსნობა, აბსოლუტური, 60 და 30 მეტრ დისტანციებზე), **დიმიტრი შანიძე** (ძალოსნობა).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დიმიტრი შანიძე. მან თავისი წონის ძალოსანთა შორის ორჭიდში ოქროს დიდ მედალთან ერთად ორი მცირე ოქროს მედალიც მიიღო. კარგად და შემართებით იბრძოდა თინათინ ლეკვეიშვილი და ორი ოქროს მედალი მოიპოვა. შეუდარებელი იყვნენ სახელმოხვეჭილი ველოსიპედისტები ომარ ფხაკაძე და სამმხტომელი ვიქტორ სანეევი. სპარტაკიადის აღმოჩენა გახლდათ თბილისელი ლუბა ასატუროვა, რომელმაც და მაინც, არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოს ცალკეულ სპორტსმენთა მაღალი მაჩვენებლები. აი ისინიც, ვინც ტოლი არავის დაუდო და სპარტაკიადაში ოქროს მედლები მოიპოვეს: **ტარიელ ალიბეგაშვილი, ლევან თედიაშვილი და შოთა ლომიძე** (სამივე — თავისუფალი ჭიდაობა), **ჯემალ მეგრელიშვილი და რომან რუნა** (ორივე — კლასიკური ჭიდაობა), **სევერიან ქარელი და გურამ გოგოლაური** (ორივე — სამბო), **ომარ ფხაკაძე** (ველოტრეკი, სპრინტი), **მიხეილ ბოგუსი** (ტანვარჯიში, ღერძი), **ავერი მატკავა და ვიქტორ კრატასიუკი** (ორადგილიანი ბაიდარი), **ზურაბ ხოფერია და ნოდარ ჩარაევი** (ორადგილიანი კანოე) **ანატოლი მოშიაევი** (ორივე — ძძლეოსნობა), **თინათინ ლეკვეიშვილი** (100 და 200 მეტრზე გულღმა ცურვა), **ლუბა ასატუროვა** (მშვილდოსნობა, აბსოლუტური, 60 და 30 მეტრ დისტანციებზე), **დიმიტრი შანიძე** (ძალოსნობა).

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐᲛᲓᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ოლიმპიადაზე 50 ოქროს, 27 ვერცხლისა და 22 — ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ამერიკელებმა შესაბამისად 33,